

დმანისის რაიონის მოსახლეობის მოწყვლადობის გაზომვა

ნუცა მუჯირიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნებათა ფაკულტეტზე, სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის შესაბამისად*

სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი - შორენა სამაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი. 2015

სარჩევი	
შესავალი.....	3
თავი I.....	5
დმანისის მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება.....	5
ინფრასტრუქტურა.....	5
მუნიციპალიტეტის სუსტი მხარეები.....	9
თავი II.....	12
თემი.....	12
თემი - როგორც სოციალური ერთეული.....	12
სათემო მობილიზაცია.....	14
სოციალური მუშაკის როლები თემში.....	15
თემის გაძლიერების სამთავრობო და არასამთავრობო სერვისები.....	15
თემის გაძლიერების ქართული და საეთაშორისო გამოცდილება.....	23
თავი III.....	29
კვლევის მეთოდოლოგია.....	29
კვლევის მიზანი.....	29
ჰიპოთეზა.....	30
მოწყვლადობის საზომი ინსტრუმენტის მიმოხილვა.....	30
კვლევის გავრცელების არეალი - სამიზნე ჯგუფი.....	32
კვლევის ტიპი.....	32
კვლევის ეთიკა.....	33
კვლევის სირთულეები.....	33
თავი IV.....	34
კვლევის შედეგები.....	34
დასკვნები და რეკომენდაციები.....	44
დანართი #1.....	50
ბავშვისადამისიოჯახისმოწყვლადობისდონისგაზომვისინსტრუმენტი.....	50

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება დმანისის რაიონის მოსახლეობის მოწყვლადობის გაზომვას, კერძოდ კი იმ რეგიონში არსებული პრობლემების მოკლვლევას. საკითხით დაინტერესება გამოწვეული იყო საქართველოს სიღარიბის მაღალი მაჩვენებლით, რომელიც მოწყვლადობის ერთ-ერთი შემადგენელია ელემენტია. რეგიონით დაინტერესების საფუძველს კი წამოდგენს მისი მრავლფეროვნება, განსხვავებული მახასიათებლებიდან გამომდინარე. ყოველივე ზემოთთქმული იძლევა საფუძველს პრობლემის არსი სხვადასხვა რაკურსით იქნას გაანალიზებული, საბლოოდ კომიღებული სურათი უზრუნველყოფს გადაჭრის გზების უნივერსალიზმს.

კვლევა აღწერიითი ხასიათისაა და თავის თავში აერთიანებს როგორც რაოდნობრივ, ასევე თვისებრივ მონაცემს. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ანკეტა, რომელიც ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, გამოყენებულია დაკვირვების მეთოდიც. გენერალურ ერთობლიობად აღებულია, ადგილობრივი სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაცია, კრიზისული ოჯახების რაოდენობის შესახებ, რომელთა რიცხვი შეადგენდა ორმოცდარვას. შერჩეულ ერთობლიობას კი წარმოადგენდა ორმოცი ოჯახი, ჯამში კი გამოკითხვამ მოიცვა ოთხმოცდა თხუთმეტი ბავშვი, შვიდი სოფლიდან. შერჩევის მეთოდად გამოიყენებული იყო „თოვლის გუნდა“. შერჩევაში მონაწილეობა მიიღეს თავად ოჯახების მიერ დასახელებულმა ერთეულებმაც.

კვლევის შედეგად გამოკვეთილ პრობლემათა შორის, მაღალი პროცენტულობით გამოირჩეოდა რეგიონის მოწყვლადობა ძირითადი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობის, სტაბილური შემოსავლის არქონის, საცხოვრებლის მძიმე მდგომარეობის, დასაქმების, კატასტროფებისა და კატაკლიზმების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ძირითადი მომსახურეების, სხვადასხვა უწყებებისადმი უნდობლობის, მრავსულიანობისა და ხანდაზმულობის კუთხით.